

კიბერუსაფრთხოებისა და მევიწროების გენდერული ასპექტები

სალომე სანადირაძე, ნინო ღონდაძე

რედაქტორი: პროფესორი მაგდა ცინცაძე

აბსტრაქტი

კიბერუსაფრთხოებაში ქალების არასაკმარისი წარმომადგენლობა გლობალური საკითხია. ქალ თანამშრომელთა სიმცირე კიბერუსაფრთხოების სფეროში უფრო მეტად იგრძნობა, ვიდრე სხვა STEM სფეროებში. ეს გენდერული დისბალანსი მენეჯმენტის დონეზე აფერხებს ქალისათვის დამახასიათებელი თვისებების, მათი ნიჭისა და ლიდერობის უნარის წარმოდგენას კიბერდაცვის მცდელობებში, რაც გავლენას ახდენს როგორც სოციოლოგიურ, ისე ეკონომიკურ ასპექტებზე. წარმოდგენილი ნაშრომი განიხილავს გენდერულ უთანასწორობას საქართველოს კიბერუსაფრთხოების სექტორში, გვთავაზობს რა პირველად ანალიზს, თუ როგორ აღიქვამენ ქართველი ქალი პროფესიონალები თავიანთ როლს ამ დარგში და ხაზს უსვამს ექსპერტიზის მრავალფეროვნების მნიშვნელობას კიბერინფრასტრუქტურის მიმოხილვისა და აუდიტის სფეროში. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტრატეგიები, რათა წარმოჩინდეს და აღმოიფხვრას არსებული ხარვეზები და გაუმჯობესდეს კვლევები ქალთა როლის შესახებ კიბერუსაფრთხოებაში საქართველოს რეალობის კონტექსტში.

შესავალი

გლობალურად, კიბერუსაფრთხოების სფერო ძირითადად მამრობითი სქესის წარმომადგენელთა სიჭარბით გამოირჩევა. 2020 (ISC)² კიბერუსაფრთხოების სამუშაო ძალის კვლევის მიხედვით ქალები სფეროში მომუშავეთა მხოლოდ 24%-ს შეადგენენ. კულტურული სტერეოტიპები და სოციალური ნორმები ხშირად ხელს უშლის გოგობს შეისწავლონ STEM საგნები, რასაც ემატება მისაბაძი მაგალითი ქალების ნაკლებობა და არაკეთილგანწყობილი ინდუსტრიული კულტურა. გენდერული დისკრიმინაცია და სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსის არასაკმარისი მხარდაჭერა კიდევ უფრო ამძაფრებს საკითხთან დაკავშირებულ პრობლემას. მიგვაჩნია რომ მრავალფეროვან გუნდს შეუძლია შემოგვთავაზოს უკეთესი პერსპექტივები და პრობლემის გადაჭრის განსხვავებული მიდგომები, რაც ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს კიბერუსაფრთხოებაში. დარგის განვითარებაში ქალების ნაკლები ჩართულობით ფერხდება ინოვაცია და სუსტდება თავდაცვისუნარიანობა.

CIS რეგიონში ჩატარებული კვლევის თანახმად გამოვლინდა, რომ კიბერუსაფრთხოების კომპანიების 16%-ს საერთოდ არ ჰყავდა ქალი თანამშრომლები, ხოლო იმ კომპანიებში, სადაც ქალებიც მუშაობენ, მათი ყველაზე მაღალი წარმომადგენლობა დაახლოებით 30%-ია. ქალის როლს კიბერ-სფეროში საქართველოშიც მცირე ყურადღება ეთმობა.

ჩვენი ნაშრომი მოიცავს პირველად ანალიზს იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამენ ქართველი ქალები თავიანთ როლსა და მნიშვნელობას კიბერუსაფრთხოების დარგის განვითარებაში, ასევე, ხაზს უსვამს მონიტორინგისა და სრულფასოვანი ექსპერტიზის მნიშვნელობას კიბერუსაფრთხოების, განსაკუთრებით კიბერინფრასტრუქტურის მიმოხილვისა და აუდიტის სფეროში. დოკუმენტის მიზანია შეიქმნას მტკიცებულებებზე

დაფუძნებული სტრატეგიები, რათა გადალახოს გამოწვევები და გააუმჯობესოს კვლევა ქალთა მონაწილეობის შესახებ.

ქართული კონტექსტი

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა. თუმცა, იმ ფაქტმა, რომ მომხმარებელთა შორის, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც უმეტესობა კაცია, შეიძლება გამოიწვიოს ონლაინ აგრესია ქალებისა და გენდერულად განსხვავებული ადამიანების მიმართ, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს გენდერულ უთანასწორობას და უფრო მეტად გარიყავს მარგინალური ჯგუფებს.

მიმდინარე ინიციატივები და პოლიტიკა

ტექნოლოგიური სექტორის ზრდისა და კიბერუსაფრთხოების გაძლიერებაზე ფოკუსირების მზაობის მიუხედავად, ტრადიციული გენდერული როლები და არსებული სტერეოტიპები, განაპირობებენ ქალების შედარებით ნაკლებ წარმომადგენლობას STEM დარგებში. გაეროს განვითარების პროგრამის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, ქალები საქართველოში ტექნიკური მუშახელის დაახლოებით 30%-ს და კიბერუსაფრთხოების პოზიციებზე მხოლოდ 10%-ს წარმოადგენენ. დისბალანსს ანაზღაურების კუთხითაც ვხვდებით: კერძოდ, ქალები საშუალოდ 20%-ით ნაკლებს გამოიმუშავებენ, ვიდრე კაცები. მიმდინარეობს ძალისხმევა ამ საკითხის გადასაჭრელად STEM-ზე ორიენტირებული კურიკულუმების შემუშავებითა და კურიკულუმგარეშე აქტივობებით, რომლებიც გათვლილია ახალგაზრდა ქალებზე, თუმცა, საზოგადოების უფრო ფართო მხარდაჭერაა საჭირო. სახეზე გვაქვს, აგრეთვე, კიბერუსაფრთხოებაში ქალებისთვის მენტორობისა და პროფესიული ქსელების ჩამოყალიბების ინიციატივების სიმცირე. ისეთი ორგანიზაციები და პროექტები როგორცაა Georgia Women in Tech და Girls in Tech იწყებენ დანმარებას ამ კუთხით, თუმცა, სიტუაციის არსებითად გაუმჯობესება უფრო დიდ ძალისხმევას მოითხოვს. გარდა ამისა, საქართველოს კიბერუსაფრთხოების პროფესიულ გარემოს ხშირად არ გააჩნია მოქნილობა სამუშაო და ცხოვრების ბალანსის ხელშეწყობისთვის, რაც არაპროპორციულად მოქმედებს ქალებზე. აუცილებელია კომპანიებმა შეიმუშაონ და მიიღონ ინკლუზიური პოლიტიკა, მათ შორის მოქნილი სამუშაო გრაფიკი და მშობლის შვებულება.

გლობალური კომპანიების გამოცდილება

განვიხილოთ დიდი ტექნიკური კომპანიების ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის დამყარებას კიბერუსაფრთხოებაში:

- Microsoft: 2022 წელს Microsoft-ის გლობალური სამუშაო ძალის 29.7%-ს ქალები შეადგენდნენ. კომპანიის ინიციატივები მოიცავს პარტნიორობას Girls Who Code-თან, DigiGirlz-ის პროგრამასთან და ისეთი რესურსების ჯგუფების თანამშრომლებთან, როგორცაა Women@Microsoft.
- Google: 2022 წელს ქალები შეადგენდნენ Google-ის გლობალური სამუშაო ძალის 33.6%-ს. კომპანია ადვოკატირებას უწევს ქალთა უნარების გაზრდას ტექნოლოგიურ სპეციალობებში ასევე, ატარებს Code Next და ინკლუზიური კულტურის ტრენინგებს.
- IBM: 2021 წელს ქალები შეადგენდნენ IBM-ის გლობალური სამუშაო ძალის დაახლოებით 30%-ს. კომპანიის ინიციატივები მოიცავს IBM Women in Security Excellence (WISE) და P-TECH პროგრამას.

First Student Conference: "Gender Dimension of Cybersecurity"

პირველი სტუდენტური კონფერენცია: „კიბერუსაფრთხოების გენდერული განზომილება“

აქვე აღსანიშნავია საქართველოს მთავრობისა და კერძო სექტორის ინიციატივები და ძალისხმევა:

საქართველოს მთავრობა და კერძო სექტორი დგამს ნაბიჯებს ტექნოლოგიების სექტორში გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, კერძოდ :

- მთავრობის ძალისხმევა
 - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რეფორმები უფრო მეტად აერთიანებს STEM-ზე ორიენტირებულ სასწავლო პროგრამებს სკოლებსა და უნივერსიტეტებში.
 - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) ხელს უწყობს STEM განათლებას სხვადასხვა ინიციატივების მეშვეობით.
 - გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმა მხარს უჭერს ქალებს STEM სფეროებში სტიპენდიებისა და კარიერის განვითარების პროგრამების მეშვეობით.
- საერთაშორისო პარტნიორობა:
 - USAID-ის პროგრამა „ქალები ტექნოლოგიებში“ ქართველ ქალებს ეხმარება უნარების განვითარებაში და ატარებს ტრენინგებს ტექნოლოგიურ ინდუსტრიაში მათი როლის გასაზრდელად.
 - გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის ინიციატივები ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას საქართველოში STEM სფეროებში, ტექნოლოგიებში მომუშავე ქალებისთვის სტიპენდიების შეთავაზებით და ტექნოლოგიების სექტორში მეწარმე ქალთა მხარდაჭერით.

დასკვნა

კიბერუსაფრთხოებაში გენდერული უთანასწორობის დაძლევა გადამწყვეტია ინოვაციებისა და თავდაცვის გასაძლიერებლად. ქართული კონტექსტი წარმოადგენს უნიკალურ გამოწვევებს, თუმცა მიგვაჩნია რომ მთავრობის ძალისხმევით, საზოგადოებრივი და კერძო სექტორის ინიციატივებით, გლობალური ტექნოლოგიური გიგანტების გამოცდილების შესწავლითა და ადაპტირებით, საქართველოს შეუძლია შექმნას კიბერუსაფრთხოების უფრო ინკლუზიური და მრავალფეროვანი გარემო.

ნაშრომში აღნიშნული სტრატეგიების წარმოჩენა მიზნად ისახავს გენდერული უფსკრულის ამოვსებას და ქალთა როლის გაზრდის ხელშეწყობას საქართველოს კიბერუსაფრთხოების გასაძლიერებლად.

First Student Conference: "Gender Dimension of Cybersecurity"

პირველი სტუდენტური კონფერენცია: „კიბერუსაფრთხოების გენდერული განზომილება“

გამოყენებული ლიტერატურა:

1. "Women in Cybersecurity: bridging the gender gap" (ISC2.research, accessed 2024)
2. "Gendering Cybersecurity through Women, Peace and Security" (DIL WPS and Cybersecurity Report, 2023)
3. "Country Gender Equality Profile" (UN Women ,2023)
4. Gender Equality in Georgia: Barriers and Recommendations (Gender Equality in Georgia, 2021)
5. Women's integrity through cyber security programs supported by Microsoft (Girls Who Code 2023; DigiGirlz, 2018)
6. IBM: Workforce Diversity and Inclusion (IBM Newsroom, 2020)
7. The Georgian Innovations and Technology Agency's (GITA) promotion of STEM education in Georgia (Do It in Georgia, accessed 2024)
8. Commitments to Women in Partner Countries through the Digital Economy Fund and the Launch of the Women in the Digital Economy Initiative (USAID partnership, 2023)